საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 905-02
10/04/2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნების ჩატარების ვადებისა და პროცედურების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, 24-ე მუხლის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის N9 სხდომაზე დამტკიცებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების მე-18 მუხლის, რექტორის 2019 წლის 28 მარტის N744-02 ბრძანების, რექტორის 2019 წლის 8 აპრილის N884-02 ბრძანებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის 2019 წლის 10 აპრილის N5692-35-35 წარდგინების საფუძველზე

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატთა დამატებით 6 ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებული არჩევნები ჩატარდეს 2019 წლის 15 აპრილს 14:00 საათიდან 18:00 საათამდე (მის: უნივერსიტეტის H კორპუსი, ოთახი H105).
2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს დაევალოს ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს მიაწოდოს ამ ბრძანებაში ასახული ინფორმაცია.
3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
4. უნივერსიტეტის კანცელარის დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს, უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი